სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/223

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2022 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 2022-2023 სასწავლო წლიდან პროფესორების მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 34-ე მუხლის შესაბამისად, სტუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელის, ასოც. პროფესორის ზაზა სოფრომაძის 2022 წლის 16 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 2022/2023 სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეული იქნენ ასოცირებული პროფესორები ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. მოწვეული პირების შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს საათში 52 (ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მოწვეული პირების შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე